ქართული ქრონიკა № 44

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

20 ივლისი

გამოდის 1988 წლის 10 მარტიდან 1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარეს, სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს
მ.გორბაჩოვს

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა: ქართველი ჰატრიოტები გახდნენ ნსხვერპლნი არა ეთნიკური კონფლიქტისა, რაგორც ეს ჩაფიქრებული იყო, არამედ დახოცილ იქნენ საბჭოთა ჯარების მიერ, რამაც "გარდაქმნად" წოდებული ფარისის ნეშმარიტი სახე წარმოაჩინა.

ის, რაც თბილისში მოხდა და შემდეგ პეკინში განმეორდა, შეთხვევითობა არ არის, რადგან წორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი რამ არ შეიძლება რომ მოხდეს. საქართველოსა და ჩინეთში დატრიალებული ტრაგედიები პირდაპირი წაყოლია იმ სისტემისა, რომელიც არსებობს სსრკ-სა და ჩინეთში.

ჩვენ ვთვლით, რომ როდიონოვის, ჰატიაშვილის და სხვა ბოროტმოქმედთა დასჯით არაფერი არ შეიცვლება, რადგან უცვლელი რჩება ის სისტემა, ის ხელისუფლება, რომელსაც პირადად თქვენ უდგახართ სათავეში და ამდენად, პირად პასუხისმგებლობასაც იზიარებთ თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე და დაკავშირებით, იმისგან დამოუკიდებლად, გაეცით თუ არა თქვენ ეს ბრძანება.

9 აპრილის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ქართველი ერის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საქართველოში მიმართავს შემდეგ ხრიკებს:

1. საბჭედრო პროკურატურა პრივოკატორთა მეშვეობით ცდილობს შექმნას და შემდგომ "აღმოაჩინოს" საქართველოში შეიარაღებული ჯგუფები, რათა ამით გაამართლოს 9 აპრილის სისხლიანი აქცია;

2. აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულისა და ბოღანისის რაიონებში ხდება ერთაშორისი შუღლის ხელოვნური გაღვივება გათვლილი იმაზე, რომ ქართველი ჰატრიოტები შეარაჟებულ დახმარებას აღმოუჩენენ ამ რაიონებში მცხოვრებ ქართველ უმცირესობას. ამას გარდა, ეს გამოიწვევს ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთაშორისი შუღლის ჭაობში ჩაძირვას.

3. არის "ზემოდან" დაგეგმილი პროვოკაციული მცდელობანი ქართველთა და სომეხთა შორის კონფლიქტის გამოწვევისა. ცნობილია, რომ საქართველომ დიდი მატერიალური და მორალური დახმარება გაუწია სომეხ ერს; თავის მხრივ, სომეხმა ძმებმა დახმარების ხელი გამოგვიწოდეს 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ, რაც, როგორც ჩანს, ვეღიკორუსული შოვინიზმის გამოწვევად გვეთვლება.

სომეხთა და ქართველთა შორის კონფლიქტი ამიერკავკასიას ნორე დიბაბად გადააქცევდა, ხოლო კავკასიური ერების "დაწყნარებაც" ტანკებით და ქიმიური იარაღით "კანონიერ" საფუძველზე მოხდებოდა.

4. ჯერჯერობით პრივილეგიებული ტრაგედიაც, პირველ რიგში, სწორედ ქართველი ერის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან ჩვენ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენეთ: თუ ჩვენ ამ ხაღხს მივიღებთ, საქართველოს ეთნიკური რუკა კიდევ უფრო აჭრელდება და ერთაშორისი ურთიერთობებიც უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს; თუ არ მივიღებთ, მაშინ ქართველი ადამიანი ოკუპატორის თავადში ბოროტ და უსულგული კაცად გამოჩნდება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მთელი პასუხისმგებლობით უცხადებს თქვენს ხელისუფლებას:

1. საბჭედრო პროკურატურა ვერაფარი შეიარაღებულ ჯგუფებს საქართველოში ვერ აღმოაჩენს, რადგან ასეთი ჯგუფები არ არსებობს. ჩვენ ვიბრძვით პოლიტიკური ხერხებით და ძალადობა, როგორც წვნობრივად, ასევე პოლიტიკურად, გაუმართლებლად მიგვაჩნია.

2. მარნეულის რაიონში, ასევე როგორც ყველგან, ქართველები შეიარაღებულ გამოსვლებს თავს აარიდებენ, რადგან იარაღით ჩვენ დავამარცხებთ პროვოკატორთა ჯგუფს, ხოლო იმ ძალის იარაღით დამარცხება, რომელიც ამ პროვოკატორთა ბურგუსკან დგას, ჩვენ არ ძალგვიძს. იმასაც მოგაგონებთ, რომ ქართველი ერი მაღალი პოლიტიკური კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის გამოცდილების მატარებელი ერია და მისი პროვოკაციებზე წაგოგება მცდელობანი მეტისმეტად რთული, თითქმის უპერსპექტივო საქმეა.

3. ქართველ-სომეხთა ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე პერიოდში იღებს და ამ ორ ერს შორის თითქმის ყოველთვის ძმური, კეთილმეზობლური დამოკიდებულება იყო, ასე რომ, ვერანაირი ძალა ვერ შეძლებს ამ ორი ქრისტიანი ერის ერთმანეთზე გადამტერებას (ცალკეული პროვოკატორები, ან "ურა-პატრიოტები", რომელთა იმედიც ჩვენს მტრებს აქვთ, ამ მიგნებს ვერ მიაღწევენ).

4. რაც შეეხება "თურქ მესხებს", გაგახსენებთ, რომ ასეთი ხალხი არ არსებობს. არიან მესხები – ძირძველი ქართველები, და თურქები. ჩვენ მზად ვართ, ჰუმანიტარული დახმარება აღმოვუჩინოთ თურქებს ჯერჯანში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, ვიბრძოლოთ მათი სამშობლოში – თურქეთში – დასაბრუნებლად, რასაც თავად მოითხოვენ. რაც შეეხება ასი ათასობით მუსულმანთა საქართველოში ჩამოსახლებას, ამას ქართველი ერი, საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუშვებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, მთელი ქართველი ერი იხსნის პასუხისმგებლობას ოთხივე პროვოკაციის მოსალოდნელ შედეგებზე. ეს პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან თქვენ.

12 ივლისი 1989 წ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
საბელით პარტიის მთავარი კომიტეტი:
გიორგი ჭანტურია
მამუკა გიორგაძე
ირაკლი ქადაგიშვილი
ირინა სარიშვილი
გურამ ჩახვაძე
ვანო ბუხუნაიშვილი
თენგიზ გაბაშვილი (ამშ).

ყაზბეგისად გამწვავდა მდგომარეობა აზხაზეთში. ამჯერად ქართველთა და აზხაზთა შორის შეჯახების ხასიდან აცილება ვერ მოხერხდა. სოხუმში იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია. მისი თქმით, სოხუმში დღეს ცხრა ბატალიონს ჰგავს, ვიდრე საკონტროლო ქალაქისაკენ მცხედრეკი – 17 ადამიანი. აზხაზეთში იმყოფება ათასეული ნაღიცის ნაწილები, რომელსაც გაღმრთულად წინააღმდეგობას უწევს მდგომარეობის საგანგებოდ შემოღებული ავტომატები. ეს ფაქტი ადასტურებს აზხაზ პროვოკატორებს იმ აზრს, მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია.

ერეკლე ბაგრატიონის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელს
გ. ჭანტურიას
ქ. კისლავოცკში მცხოვრები ქართველების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქართველები დიდი ხანია ცხოვრობენ კისლავოცკში. უმეტესი ნაწილი გადმოსახლებულია ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს, ნაწილი კი სამამულო ომის დროს, 1944 წელს. ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად ვეწ მობილი და ვეწევდით ჩვეულებრივ ცხოვრებას, მაგრამ რაც დრო გადის ცხოვრების პირობები თანდათან უარესდება: კი ალავოცკში გაგვიუქმეს ქართული სამ. სკოლა, ქართული წაციონალური კლუბი და ბიბლიოთეკა, რამაც ჩვენს შიგნით თაობაში გამოიწვია ქართული წერა-კითხვის უცოდინარობა, ლიტერატურისა და კულტურისგან მოწყვეტილობა და ბოლოს საღაპარაკო ენის დავიწყება, რაც ყველაზე უფრო გვაფრთხობს და გვაწუხებს. განცხადებაში ყველაფრის გადმოცემა შეუძლებელია, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მეფის ხელისუფლების დროს ცხოვრების პირობები რომ ყოფილიყოს ისეთი, როგორიც ეხლა გვაქვს არც ერთი ქართველი არ შეშორჩებოდა არც კისლავოცკს და არც სტავროპოლის მხარეს.

1986 წელს, აგვისტოს თვეში კისლავოცკში მცხოვრებ ქართველთა ჯგუფის გადაწყვეტილებით განცხადება შემოვიტანეთ ცეკაში, უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოში, სადაც ვითხოვდით დიდ ქალაქში ჩვენთვის ერთი კორპუსის აშენებას. ჩვენივე დანამატით, მაგრამ დღემდე სრული პასუხი ვერ მივიღეთ.

ჩვენს ანაბეგაჭრობას, მომავალ თაობას სული და გული სტკივა, რომ ისინი არა თავიანთ ისტორიებიდან ქართველებად, არა მარტო გვარი და სახელი მოიხმობდეს მათ ქართველობას, არამედ ფიზიკურად იცოდნენ მათთან და მთელი თავისი ძალა და ღონე მოახმარონ თავისი ერის უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.

კიდევ და კიდევ განმეორებით გთხოვთ:

ნუ დაგვტოვებთ უყურადღებოდ, დაგვრთოთ ნება ქალაქ დიდ ქალაქში ერთი კორპუსის აშენებისა, რისთვისაც სამუდამო, საშვილიშვილო საქმეს გაუკეთებთ 500-მდე კისლავოცკელ ქართველს.

კომისიის წევრები: გობეჯიშვილი
გავაშელი
ღონღაძე
სულ 89 ხელმოწერა

(სქილი დაცულია)

ანაბეგაჭრული განცხადება გაეგზავნა აგრეთვე მრავალ ოფიციალურ პირს.

თბილისის სახელმწიფო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორატი და სტუდენტობა მოითხოვს, რომ ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ინსტიტუტის ბაზაზე შენდებოდეს ბიენნალე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ბიენნალეში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გარდა, იქნება კიდევ 10 000 ქართველი ახალგაზრდა. საქართველოს ე. წ. მთავრობამ ამ მოთხოვნაზე დაუსაბუთებელი უარი განაცხადა.

გაფრთხილება:

საქართველოს საგზაო-სანაოსნოს ქართველ მეგზაურთა
საინიციატივო ჯგუფის მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი:

1. საქართველოს საგზაო-სანაოსნოს ყველა გემზე შეიცვალოს გემის სახელწოდება. რუსულ-ინგლისური სარეგისტრაციო დოკუმენტაცია შეიცვალოს ქართულ-ინგლისურით.
2. საქართველოს საგზაო-სანაოსნოში შემავალ ყველა გემზე აღმართოს საქართველოს ეროვნული დროშა.
3. ყველა დოკუმენტი შეივსოს ქართულ ენაზე. გემები უზრუნველყოფილ იქნას ქართული ტიპური საბეჭდი ბანქანებით.
4. ვინაიდან საქართველოს საგზაო-სანაოსნოს სახმელეთო აპარატში გაერთიანებულია ქართული ენის შემსწავლელი კურსები, დაჩქარდეს ასეთივე კურსების ჩამოყალიბება გზაში მომუშავე გემებზე.
5. საქართველოს საგზაო-სანაოსნოს სამეთაურო კადრების მომზადება უნდა ხდებოდეს საქართველოში. ამდენად, მიგვანიშნებინად მიგვაჩნია, გაიხსნას ქ. ბათუმში უმაღლესი საგზაო სასწავლებელი და მიენიჭოს მას საქართველოს საგზაო-სანაოსნოს დამაარსებლის გ-ნ ა. ჯაჭარავას სახელი.
6. საქართველოს საგზაო-სანაოსნოს მიერ წარმოებული კაპიტალის მანამდებობის კანდიდატურა დამტკიცებული უნდა იქნას საქართველოში.
7. საქართველოს საგზაო-სანაოსნოს ყველა კაპიტანს მიეცეს სრული უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება გემთან და მის ეკიპაჟთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე და მ ო მ უ ა დ ე ბ ა დ, რასაც ნესდებაც ითვალისწინებს, და არა პარტიული ორგანოების ჩარევით და ბეგავლენით, როგორც ეს დღეს ხდება.
8. გაიხსნას გ-ნ ა. ჯაჭარავას სახლ-მუზეუმი მის ყოფილ საცხოვრებელ ადგილას ქ. ბათუმში.

მიმდინარე წლის 27 ივნისს შედგა ქ. ბათუმის ედკ-IV დასის საინიციატივო ჯგუფის დამფუძნებელი კრება, რომელსაც კურირებას უწევდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის რაიონული კომიტეტის წევრი, ედკ-ს პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე. დამფუძნებელმა კრებამ, რომელშიც 14 პირი მონაწილეობდა, მთლიანად მიიღო და სცნო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და წესდება, აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, განსაზღვრა მისი ვრცა ფუნქციები.

ონი:

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
მთავარ კომიტეტს
ონის ეროვნულ-პატრიოტული კავშირის
ყოფილ წევრთა ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ონის ეროვნულ-პატრიოტული კავშირის ყოფილი წევრები, გავეცანით რა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამასა და წესდებას, მოგმართავთ თხოვნით:

1. ვაღიარებთ ედკ-ს პროგრამასა და წესდებას და გთხოვთ, მიგვიღოთ ედკ-IV დ ის წევრებად.
2. გთხოვთ, ონის ეროვნულ-პატრიოტულ კავშირს, რომლის წევრებიც ჩვენ დღემდე ვიყავით, ხოლო ედკ-IV დასის ონის განყოფილება.

17 ხელმოწერა

14.07.89

საქართველოში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 22 ივლისს ჩატარდება ედკ-IV დასის საგანგებო კონფერენცია.

მთ. რედაქტორი ირინა სარიშვილი

39-44-18